

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საკვლევი კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები¹

ლილი ხეჩუაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი

რეზიუმე:

ნაშრომში განხილულია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საზომი სკალების (SPWB-Geo) ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალების შინაგანი შეთანხმებულობა, სქესთა შორის განსხვავებები და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაჩვენებლების განაწილება დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. 350 მონაწილეზე ჩატარებულმა კვლევების სერიამ აჩვენა, რომ კითხვარის ქართული ვერსია სრულად შეესაბამება ორიგინალურ ექვსფაქტორიან ინსტრუმენტს, რომელშიც უცვლელად არის შენარჩუნებული ექვსივე სკალა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლების მიხედვით, კითხვარის ქართული ვერსია უახლოვდება ორიგინალს, კერძოდ, 84 დებულების ჯამური კოეფიციენტი 0.93-ია, ხოლო ცალკეული სკალებისთვის კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.74-დან 0.84-ის დიაპაზონში ცვალებადობს. რაც შეეხება ჯგუფთა შორის განსხვავებებს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებლების მიხედვით, მამაკაცებს, ქალებთან შედარებით, ოდნავ მაღალი მაჩვენებლები აქვთ ავტონომიის სკალაზე; ასაკის მატებასთან ერთად მცირდება პიროვნული ზრდის სკალის და მატულობს გარემოს ფლობისა და სხვებთან დადებითი ურთიერთობების სკალების მაჩვენებლები. ამასთან, რაც უფრო მაღალია სოციო-ეკონომიკური სტატუსი, მით მეტ პიროვნულ ზრდას და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას აღნიშნავენ ადამიანები, ხოლო თვითაღქმული ჯანმრთელობის მდგომარეობა და სოციოეკონომიკური სტატუსი სანდოდ წინასწარმეტყველებს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ჯამურ მაჩვენებელს.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, ფაქტორული სტრუქტურა, ჯგუფთაშორისი განსხვავებები.

სტატიაში წარმოდგენილია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საკვლევი კითხვარის ქართული ვერსიის² (SPWB-Geo) ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევის რამდენიმე ეტაპი. კითხვარის ორიგინალური, ინგლისურენოვანი ვერსია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მრავალგანზომილებიანი მოდელის ჩარჩოშია შექმნილი და ამავე მოდელის ავტორს, კაროლ რიფს (1989, 1995), ეკუთვნის.

¹ კვლევა განხორციელდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევრის კვლევით გრანტის ფარგლებში (CARTI under the International Higher Education Support Program of the Open Society Foundations. გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტიტუტის ფონდი, გრანტი N: IN2013-11481).

² SPWB-Geo-თან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ სტატიის ავტორს ელექტრონულ მისამართზე lili.khechushvili@tsu.ge

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის კვლევა 1970-იანი წლებიდან დაიწყო და პოზიტიური ფუნქციონირების ორი ძირითადი მოდელის ფარგლებში ვითარდებოდა. ერთი ტრადიციის საწყისებს ბრედბერნის (Bradburn, 1969) ეპოქალურ ნაშრომში შეიძლება მივაკვლიოთ, რომელშიც ერთმანეთისგან არის გამიჯნული პოზიტიური და ნეგატიური აფექტი, ხოლო ბედნიერებას ამ ორი ტიპის აფექტს შორის ბალანსის მდგომარეობას უწოდებდნენ. მეორე მოდელი სოციოლოგებთან უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა, რომლის მიხედვითაც, ცხოვრებით კმაყოფილება კარგად ყოფნაზე მიუთითებდა. ამ შემთხვევაში საუბარი იყო კოგნიტურ კომპონენტზე და ცხოვრებით კმაყოფილება ბედნიერების თანმხლებად მოიაზრებოდა, თავად ბედნიერება კი პოზიტიური ფუნქციონირების უფრო აფექტურ მდგენელს წარმოადგენდა (მაგალითისთვის იხ. Andrews & McKennell, 1980; Andrews & Withey, 1976; Bryant & Veroff, 1982; Campbell, Converse, & Rodgers, 1976).

მეოცე საუკუნის კლასიკოსების ნაშრომებში მრავლად არის მინიშნება და საუბარი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ამა თუ იმ ასპექტზე, თუმცა არსად არის წარმოდგენილი ინტეგრირებული და ერთიანი კონცეფცია, იქნება ეს ერიკსონისეული ფსიქოსოციალური სტადიები, ბაჰლერის ბაზისური ცხოვრებისეული ტენდენციები თუ ნიუგარტენის პიროვნული ცვლილებები. ყველა ამ მდგომარეობაში კეთილდღეობა (wellness) ცხოვრების მანძილზე უწყვეტი ზრდის ტრაექტორიის სახით აღიწერება. კლინიკური ფსიქოლოგები კიდევ უფრო დეტალურად აღწერდნენ კარგად ყოფნას ისეთ კონტექსტში, როგორცაა, მასლოუს თვითაქტუალიზაციის ცნება, მოწიფულობის ოლპორტისეული ფორმულირება, როჯერსის სრულად ფუნქციონირებადი პიროვნება და იუნგისეული ინდივიდუაცია (Khechushvili, 2014a).

ფსიქოლოგიური ან სუბიექტური კარგად ყოფნა მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელშიც სამი ასპექტი შეიძლება გამოიყოს: (ა) შეფასებითი კარგად ყოფნა მოიცავს გლობალურ შეფასებებს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ ადამიანები თავიანთ ცხოვრებას. სხვა სიტყვებით, ეს არის მათი ცხოვრებით კმაყოფილება. (ბ) აფექტური ან ჰედონისტური კარგად ყოფნა, რომელიც მოიცავს ისეთი გრძნობების გაზომვას, როგორცაა ბედნიერება, მწუხარება და სიამოვნება. არსებობს მყარი მტკიცებულება იმისა, რომ პოზიტიური და ნეგატიური ინდიკატორები უბრალოდ ურთიერთსაპირისპირო კი არ არის, არამედ ორივე ღირებული ინფორმაციის მატარებელია. (გ) ევდემონისტური კარგად ყოფნა, რომელიც ფოკუსირდება პიროვნების ცხოვრების მნიშვნელოვნების შესახებ არსებულ მსჯელობებზე და ისეთ კონსტრუქტებს აფასებს, როგორცაა ავტონომია და კონტროლი.

როგორც რიფი (Ryff, 2014) ამტკიცებს, ყველა ზემოთ დასახელებული მოდელი, მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, გაცილებით ეკონომიურ მოსაზრებაში უნდა ინტეგრირდეს. იგი თვლის, რომ ყველა აღნიშნული მიმართულება თუ ავტორი, დიდწილად, მსგავს კონსტრუქტზე საუბრობს. ამიტომ XX საუკუნის დასასრულისკენ მან თავად (1989, 1995, 2014) შემოგვთავაზა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მრავალგანზომილებიანი მოდელი. განზომილებები, რომლებზეც რიფი საუბრობს, ერთბლიობაში მოიცავენ კეთილდღეობის (wellness) მთელ დიაპაზონს, რომელშიც შედის საკუთარი თავისა და წარსული ცხოვრების დადებითი შეფასებები, უწყვეტი პიროვნული ზრდისა და განვითარების განცდა, საკუთარი ცხოვრების მიზანმიმართულობისა და საზრისის რწმენა, სხვებთან ხარისხიანი ურთერთობები, საკუთარი ცხოვრებისა და გარე სამყაროს ეფექტიანად მართვის უნარი და თვითდეტერმინაციის განცდა.

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის რიფის მიერ შემოთავაზებული მრავალგანზომილებიანი მოდელი ექვსი მდგენელისგან ანუ განზომილებისგან შედგება: (1) ავტონომია, რომელიც გულისხმობს თვითდეტერმინაციასა და დამოუკიდებლობას, სოციალური ზეწოლებისადმი წინააღმდეგობის გაწევას, ქცევის რგულაციას და საკუთარი თავის პირადი სტანდარტებით შეფასებას; (2) გარემოს ფლობაში მოიაზრება გარემოს მართვის კომპეტენციების ქონა, გარეგანი აქტივობების ფართო სპექტრის კონტროლის უნარი, არსებული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება და ისეთი კონტექსტების შერჩევისა და შექმნის უნარ-ჩვევები, რომლებიც ინდივიდის პიროვნულ მოთხოვნილებებსა და ღირებულებებს შეესაბამება. (3) პიროვნული ზრდა მოიაზრებს უწყვეტ განვითარებას, როდესაც ინდივიდის საკუთარ თავს მზარდ და ახალი გამოცდილებისადმი ღია პიროვნებად აღიქვამს. დარწმუნებულია, რომ შეუძლია საკუთარი პოტენციალის რეალიზება, ხედავს საკუთარ თავსა და ქცევაში უკეთესობისკენ სვლას. (4) დადებითი ურთიერთობები სხვებთან მოიცავს სხვა ადამიანებთან დამაკმაყოფილებელი, მიმდნობი ურთიერთობების ქონას, სხვათა კეთილდღეობაზე ზრუნვას და ძლიერი ემპათიის, ემოციური მიჯაჭვულობისა და ინტიმურობის განცდის უნარს, კარგად ესმის ადამიანური ურთიერთობების ორმხრივი ბუნება. (5) მიზანი ცხოვრებაში არის განზომილება, რომელიც აერთიანებს მიმართულობისა და მიზნის არსებობის განცდას, წარსული და აწმყო ცხოვრების საზრისის ხედვას; რწმენას, რომ ცხოვრებას აქვს აზრი. (6) საკუთარი თავის მიღება გულისხმობს საკუთარი თავისადმი დადებით დამოკიდებულებას, საკუთარი მე-ს სხვადასხვა ასპექტის არსებობასა და მიღებას, კარგი და ცუდი თვისებების ჩათვლით; ზოგადად, საკუთარი წარსულისადმი დადებით დამოკიდებულებას.

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ექვსგანზომილებიანი თეორიული მოდელის ჩარჩოში რიფი (1989) ამ კონსტრუქტის გასაზომ ინსტრუმენტსაც გვთავაზობს. არსებობს კითხვარის სრული (თითო სკალაზე 14 დებულება), შემოკლებული (თითო სკალაზე 9 დებულება) და ძალიან შემოკლებული (თითო სკალაზე 3 დებულება) ვერსია. სამივე ვარიანტში კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, ლიკერტის ფორმატის ექვსქულიან სკალაზე შეაფასონ, რამდენად ეთანხმებიან მოცემულ დებულებას. შესაძლო პასუხებია: სრულიად არ ვეთანხმები (1), მეტ-ნაკლებად არ ვეთანხმები (2), მცირედით არ ვეთანხმები (3), მცირედით ვეთანხმები (4), მეტ-ნაკლებად ვეთანხმები (5) და სრულიად ვეთანხმები (6).

ორიგინალური კითხვარის სრული ვერსია, რომელსაც შეეხება წარმოდგენილი კვლევა, 84 დებულებიანი თვითანგარიშის კითხვარია. დებულებები ექვს სკალაზე ნაწილდება. ეს სკალებია: ავტონომია ($\alpha = .83$), გარემოს ფლობა ($\alpha = .86$), პიროვნული ზრდა ($\alpha = .85$), დადებითი ურთიერთობები სხვებთან ($\alpha = .88$), მიზანი ცხოვრებაში ($\alpha = .88$) და საკუთარი თავის მიღება ($\alpha = .91$). თითო სკალაზე 14 (დადებითად და უარყოფითად ფორმულირებული) დებულებაა გაერთიანებული. თითოეული სკალის მაჩვენებელი დადებითად და უარყოფითად ფორმულირებულ დებულებებზე გაცემული პასუხების შესატყვისი ქულების დაჯამებით მიიღება, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ჯამური მაჩვენებლის მისაღებად კი ცალკეული სკალების ჯამური ქულების შეკრებაა საჭირო. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ქულათა კონკრეტული დიაპაზონები ან ზღვრული ქულები, რომლებიც კარგად ყოფნის განცდის დაბალ ან მაღალ ხარისხზე მიგვითითებდა. ეს განსხვავება ყოველი კონკრეტული შერჩევის მონაცემების განაწილების მიხედვით განისაზღვრება. ორიგინალური კითხვარის ავტორი (Ryff, 2014) (კითხვარის მოკლე და ვრცელი ვერსიებისთვის) მაღალი-დაბალი

მაჩვენებლების განსაზღვრის ორ სხვადასხვა გზას გვთავაზობს. ერთი ვარიანტია, რომ კარგად ყოფნის განცდის მაღალ მაჩვენებლად ჩაითვალოს განაწილების ზედა 25% (კვარტილი), დაბალ მაჩვენებლად კი — ქვედა 25% (კვარტილი). მეორე ვარიანტია, რომ კარგად ყოფნის მაღალ ქულებად ჩაითვალოს საშუალოს ზემოთ 1.5 სტანდარტული გადახრის ზემოთ მოხვედრილი ქულები, ხოლო დაბალ ქულებად — საშუალოდან 1.5 სტანდარტული გადახრის ქვემოთ მოხვედრილი ქულები.

რიფი (1995, 1996) თითოეული სკალის დახასიათებასაც გვთავაზობს და ამა თუ იმ სკალაზე დაბალი და მაღალი ქულების მქონე რესპონდენტების მახასიათებლებს აღწერს.

ავტონომიის სკალაზე მაღალი ქულების მქონე რესპონდენტები დამოუკიდებლობა და თვითდეტერმინირებულები არიან; შეუძლიათ, წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალურ ზეწოლებს და ისე იფიქრონ და იმოქმედონ, როგორც თავად თვლიან საჭიროდ. ისინი თავად ირეგულირებენ ქცევას, საკუთარ თავს კი თავიანთი პირადი სტანდარტებით აფასებენ. დაბალი ქულების მქონე რესპონდენტებს მეტად აფიქრებთ სხვების შეფასებები და მოლოდინები. გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვნად ეყრდნობიან სხვების შეფასებებს, კონფორმულები არიან სოციალური ზეწოლებისადმი (მაგალითად, „ჩემს გადაწყვეტილებებზე, ჩვეულებრივ, არ მოქმედებს სხვების ქცევები“, „მახასიათებს იმაზე ღელვა, თუ რას ფიქრობენ ჩემზე სხვები.“)

გარემოს ფლობის სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე რესპონდენტები თავს კომპეტენტურად გრძნობენ და შეუძლიათ საკუთარი გარემოს მართვა, მასში მიმდინარე აქტივობების გაკონტროლება, გარემოს რესურსების ეფექტურად გამოყენება. ასევე, ეხერხებათ საკუთარი პიროვნული მოთხოვნილებებისა და ღირებულებების შესატყვისი კონტექსტების შერჩევა და შექმნა. დაბალი ქულების მქონე რესპონდენტებს უჭირთ ყოველდღიური საქმიანობების დაგეგმვა და მართვა, არ აქვთ გარემოში მიმდინარე მოვლენებზე კონტროლის განცდა (მაგალითად, „ზოგადად, ვგრძნობ, რომ მე ვმართავ სიტუაციას, რომელშიც ვცხოვრობ“, „ხშირად ვგრძნობ, რომ გადატვირთული ვარ პასუხისმგებლობებით“).

პიროვნული ზრდის მიხედვით მაღალი ქულების მქონენი მუდმივი წინსვლისა და ზრდის განცდით ცხოვრობენ; თვლიან, რომ ახერხებენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენასა და რეალიზაციას; კარგად აცნობიერებენ, რომ დროთა განმავლობაში უმჯობესდებიან, მეტს იგებენ საკუთარი თავის შესახებ და უფრო ეფექტურადაც ფუნქციონირებენ. დაბალი ქულების მქონეთ სტაგნაციის განცდა აქვთ. ასევე, მოკლებულნი არიან დროთა განმავლობაში გაუმჯობესებისა და განვითარების განცდას. ხშირად სწყინდებათ, ბეზრდებათ ცხოვრება და ნაკლებ ინტერესს იჩენენ მის მიმართ; არ შეუძლიათ ახალი დამოკიდებულებების ან ქცევების ფორმირება (მაგალითად, „არ მახასიათებს სიახლეების მოსინჯვა“, „არ მსიამოვნებს ისეთ სიტუაციებში ყოფნა, რომლებიც ქცევის ჩვეული სტილის შეცვლას მოითხოვენ ჩემგან.“).

ისინი, ვისაც მაღალი ქულა აქვს *სხვებთან დადებითი ურთიერთობების* სკალაზე, გამოირჩევიან სხვებთან თბილი, კმაყოფილების მომგვრელი და ნდობის აღსავსე ურთიერთობებით; ფიქრობენ სხვების კეთილდღეობაზე, შეუძლიათ სხვების მიმართ ემპათიის, ემოციური დამოკიდებულებისა და ინტიმურობის გამოხატვა; კარგად ესმით ადამიანური ურთიერთობების ორმხრივი ბუნება. დაბალი ქულის მქონე ადამიანებს შედარებით მწირი პიროვნებათშორისი ურთიერთობები აქვთ; უჭირთ თბილი, ღია და მიმდობი ურთიერთობების აწყობა; იზოლირებულნი და ფრუსტრირებულნი არიან ურთიერთობებით და ნაკლებად არიან მზად მნიშვნელოვანი კავშირების შენარჩუნებისთვის კომპრომისებზე წასასვლელად (მაგალითად, „ადამიანთა

უმრავლესობა მოსიყვარულე და ემოციურ ადამიანად მთვლის,“ „ძალიან მიჭირს სხვებთან გულღიად და გულწრფელად საუბარი“).

მათ, ვისაც მაღალი ქულა აქვს ცხოვრებაში მიზნის სკალაზე, აქვთ ცხოვრების მიზანი და მიმართულება ცხოვრებაში; გრძნობენ, რომ უაზრო არ არის აწმყო და წარსული ცხოვრება; აქვთ რწმენები, რომლებიც ცხოვრებას აზრს აძლევენ. დაბალი ქულის მქონეთ ცხოვრება უაზროდ მიაჩნიათ, მწირი მიზნები აქვთ ან საერთოდ უმიზნოდ და მიმართულების გარეშე ცხოვრობენ; ვერც წარსულ ცხოვრებაში პოულობენ რაიმე აზრს და არც რწმენები აქვთ, რომლებიც მათ აწმყო ან მომავალ ცხოვრებას შესძენდა საზრისს (მაგალითად, „მაქვს განცდა, რომ ჩემ ცხოვრებას საზრისი და მიმართულება აქვს,“ „საბოლოოდ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ცხოვრებას რაიმე აზრი აქვს“).

საკუთარი თავი მიღების სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე რესპონდენტებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ საკუთარი თავისადმი, აღიარებენ და იღებენ მე-ს მრავალმხრიობას, თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით; ასევე, დადებითად არიან განწყობილნი საკუთარი წარსულისადმი. დაბალი ქულების მქონე რესპონდენტები უკმაყოფილონი არიან საკუთარი თავით; იმედგაცრუებულნი არიან წარსული ცხოვრებით, ვერ ეგუებიან გაკრვეულ პიროვნულ თვისებებს და სურთ, რომ სხვანაირები იყვნენ (მაგალითად, „ზოგადად, დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში“, „ბევრი ადამიანის მშურს მათი ცხოვრების წესის გამო“) (Ryff, C. D., 2014).

დღეისათვის ნაკვლევი ინსტრუმენტის ზოგიერთი არაინგლისურენოვანი ვერსიის ფაქტორული სტრუქტურა, მათ შორის არსებობს კითხვარის ბელარუსული (Sirigatti, et. al., 2013), ესპანური (Dierendonck et. al., 2008), თურქული (Akin, 2008), იაპონური (Kishida, et. al., 2004), იტალიური (Sirigatti, et. al., 2009), პაკისტანური (Ansari, 2010), პორტუგალიური (Fernandes et. al., 2010), რუმინული (Kallay & Rus, 2013), ფრანგული (Younes et al., 2011) და ჩინური (Cheng & Chan, 2005) ვერსიები. კვლევა აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების ფაქტორული სტრუქტურა შედარებით სტაბილურია სხვადასხვა კულტურაში და, ძირითადად, მცირედით განსხვავდება რიფის (1995) ორიგინალური ინსტრუმენტისგან. ასე მაგალითად, ფაქტორული სტრუქტურა უცვლელია ინსტრუმენტის ზემოთ ჩამოთვლილი ვერსიიდან ყველას შემთხვევაში, გარდა ფრანგული და პორტუგალიური ვერსიებისა. ფრანგულ კითხვარს (Younes et al., 2011) ხუთფაქტორიანი სტრუქტურა აქვს, ხოლო პორტუგალიური კითხვარის (Fernandes et. al., 2010) რამდენიმე ვერსია არსებობს და არც ერთი მათგანი არ მოერგო რიფისეული კითხვარის ფაქტორულ სტრუქტურას. შედარებით მიახლოებული და დამაკმაყოფილებელი ფსიქომეტრული მახასიათებლების მქონე სტრუქტურა მიიღეს მკვლევრებმა ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მოდიფიკაციაში, რომელიც ინსტრუმენტის 30 დებულებიან, შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს.

ტესტების თარგმნისა და კროს-კულტურული ადაპტაციის საერთაშორისო ინსტრუქციის (Bartrum, 2000; Beaton, et. al., 2000; International Test Commission, 2010) მიხედვით, ადაპტაცია სამსაფეხურიანი პროცესია: (1) თარგმანი და ლინგვისტური ვალიდაცია ფუნქციური ეკვივალენტობის დასადგენად, (2) სკალების მოთხოვნების გადამოწმება ანუ მეტრული ეკვივალენტობის კვლევა (როგორცაა დებულებისა და სკალის კორელაციები და ფაქტორული სტრუქტურა) და (3) ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა და ვალიდაცია ახალი ინსტრუმენტისთვის სკალარული ეკვივალენტობის მისაღწევად. წარმოდგენილი ნაშრომი ამ პროცესის მეორე საფეხურს აღწერს, კერძოდ, მასში განხილულია მოზრდილებისთვის განკუთვნილი

ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის, შინაგანი შეთანხმებულობის, სკალების სანდოობისა და გენდერული განსხვავების საკითხები.

მეთოდი

მონაწილეები

კვლევაში 350 მოხალისე მონაწილეობდა (ზოგადი პოპულაციიდან აღებული შემთხვევითი შერჩევა, $M_{საკვი} = 30.5$, $SD = 15.4$, $min = 19$, $max = 84$), რომელთაგან 287 (82.0%) ქალი იყო. მონაწილეთა თითქმის ორი მესამე (62%) დასაქორწინებული იყო, თითქმის მესამედი (29.1%) — დაქორწინებული, 5.4% — განქორწინებული და 3.4% — ქვრივი. კვლევის მონაწილეთა 43.4%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა (ხუთწლიანი დიპლომი, ბაკალავრი და მაგისტრი — 17.7%, 16.3% და 9.4%, შესაბამისად). დანარჩენ 38.9%-ს სტუდენტები შეადგენდნენ, 2.9%-ს არასრული და 8.0%-ს — საშუალო განათლება, დარჩენილ 6.9%-ს კი პროფესიული განათლება ჰქონდა მიღებული. შერჩევის ნახევარი უმუშევარი იყო (52%), რომელთაგან 40.6%-ს სტუდენტები შეადგენდნენ³. დასაქმებულთა 12% საჯარო სექტორში მუშაობდა, 16.1% — კერძო სექტორში, 2.6% თვითდასაქმებული იყო. ჯგუფის 4.6% პენსიაზე იმყოფებოდა, 9.4%-მა აღნიშნა, რომ დიასახლისი იყო, ხოლო 2% გაერთიანდა კატეგორიაში „სხვა“.

ყველა მონაწილე ეთნიკური ქართველი იყო. მათ უმრავლესობა (88.6%) თავს მართლმადიდებლად თვლიდა. ჯგუფის 9.5% არც ერთ აღმსარებლობას მიაკუთვნებდა თავს. მხოლოდ ერთი მონაწილე იყო იეღოვას მოწმე, ერთ ბუდისტი, ერთ ბაპტისტი და ორი აგნოსტიკოსი. მართლმადიდებელ მონაწილეთა 8% რეგულარულად ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს, 33.4% ზოგჯერ, 34.3% ხანდახან, 17.7% უბრალოდ არ ასრულებდა რიტუალებს, 24%-მა კი თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

მონაწილეთა 16.6%-მა აღნიშნა, რომ დიდი შემოსავალი ჰქონდა, 23.1%-ს — საშუალოზე მეტი, 31.4%-ს — საშუალო და 18.9%-ს — დაბალი შემოსავალი, ხოლო 10.0%-მა საკუთარი თავი ღარიბთა კატეგორიას მიაკუთვნა. რაც შეეხება საცხოვრებელი პირობების სუბიექტურ შეფასებას, მონაწილეთა 34.9%-მა თქვა, რომ კარგ პირობებში ცხოვრობს, 47.4% თვლიდა, რომ უფრო კარგ პირობებში ცხოვრობდა, ვიდრე ცუდში, 14.6% — უფრო ცუდში, ვიდრე კარგში და 3.1%-სთვის მათი საცხოვრებელი პირობები ცუდი იყო. მონაწილეთა თითქმის ნახევარი (45.4%) აღნიშნავდა, რომ კარგ ჯანმრთელობა ჰქონდა, 41.4%-ს — უფრო კარგი, ვიდრე ცუდი, 8.6%-ს — უფრო ცუდი, ვიდრე კარგი და 4.6%-ს — ცუდი.

მონაწილეთა დიდი ნაწილი (85%) ქალაქში ცხოვრობდა, დანარჩენი (15%) კი — სოფლად. ეს, ძირითადად, იძულებით გადაადგილებული პიროვნებები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ახალ დასახლებებში ბინადრობდნენ. ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩენილ ბუფერულ ზონებში ან ახლად შექმნილ დასახლებებში ცხოვრობდა (მეტი დეტალებისთვის იხ. Khechuashvili, 2014b).

³ სტუდენტის სტატუსის მქონე მონაწილეებიდან აქ სტუდენტის კატეგორიაში მხოლოდ ის სტუდენტები შევიდნენ, რომლებიც არ მუშაობდნენ კვლევის ჩატარების მომენტისთვის. სწავლის პარალელურად ვინც მუშაობდა, ისინი დასაქმებულთა კატეგორიაში გაერთიანდნენ.

ინსტრუმენტი

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების ქართული ვერსია (PWBS-Geo) მიღებულ იქნა ლინგვისტური ვალიდაციის ყველა საჭირო პროცედურის გავლის შედეგად.⁴ კითხვარის ავტორის, კაროლ რიფის ნებართვით, თავდაპირველად განხორციელდა სამი დამოუკიდებელი თარგმანი ინგლისურიდან ქართულზე, რომელთა გაერთიანებით შეიქმნა პირველი ქართული სამუშაო ვერსია. შემდეგ ეს ვერსია ორმა დამოუკიდებელმა მთარგმნელმა, რომელთა საქმიანობა არაფრით უკავშირდება ფსიქოლოგიას და კვლევის თემას, ისევ ინგლისურად თარგმნა. ორიგინალური და ნათარგმნი ინგლისური ვერსიები ინგლისური კითხვარის ავტორმა კაროლ რიფმა და დოქტორმა მაკლინმა⁵ შეადარებს ერთმანეთს და შეაფასეს. მათგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით მოდიფიცირდა რამდენიმე დებულება, ჩატარდა პირველი საპილოტე კვლევა და ექსპერტიზა. ამას მოჰყვა კიდევ ერთი პილოტი, ვიდრე მიღწეულ არ იქნა კითხვარის თითოეული სკალის დამაკმაყოფილებელი შინაგანი შეთანხმებულობა (Khechuashvili, 2014a). ქართულ ენაზე გამართული დებულებების საბოლოო ვერსიის შექმნა ფილოლოგის მიერ დებულებების შეფასებით დასრულდა. ამრიგად, ქართული ვერსია, რომელიც მოცემულ კვლევაშია გამოყენებული, ორიგინალურის მსგავსად, 84 დებულებისგან შედგება.

მონაცემების შეგროვების პროცედურა

ინფორმირებული თანხმობა. კვლევის მონაწილეებს კითხვარები მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის ფორმის წაკითხვისა და ხელმოწერის შემდეგ ეძლეოდათ. კვლევის ასისტენტები პასუხობდნენ ყველა კითხვას კვლევის პროცედურების, კვლევიდან გამოთიშვის, მონაცემთა საკუთრების, ანონიმურობა/კონფიდენციალობის, გამოქვეყნების და ა. შ. საკითხების შესახებ.

პროცედურა. კვლევის ორივე ნაწილის მონაწილეებს ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში ეძლეოდათ ინტრუმენტების ბლოკი,⁶ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან კვლევა მათ სახლებში ჩატარდა. თითოეული მონაწილე ავსებდა კითხვარის დემოგრაფიულ ნაწილს და პასუხობდა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების დებულებებს.

მონაცემთა ანალიზი

PSWB-Geo-ის ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად, ანალიზი სამ ეტაპად განხორციელდა. (1) განხორციელდა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი; (2)

⁴ თარგმანისა და ენობრივი გამართვის პროცესის დეტალური აღწერისთვის იხ. Khechuashvili, 2014a, ან დაუკავშირდით სტატიის ავტორს.

⁵ Kate McLean – ქეთი მაკლინი, პროფესორი, დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ვაშინგტონის შტატი, აშშ.

⁶ წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შეგროვილი მონაცემები ნაწილი უფრო ფართომასშტაბიანი, შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევის ფარგლებში შეგროვდა, რომელიც ცხოვრებისეულ ისტორიებში ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის ინტიკატორების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამიტომ ამ სტატიაში წარმოდგენილი მონაცემები უფრო დიდი მონაცემთა ბაზის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. დანარჩენი მონაცემები კი აღნიშნული კვლევისგან დამოუკიდებლად შეგროვდა.

გამოითვალა თითოეული სკალისთვის შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტები (კრონბახის ალფა) და ინსტრუმენტის ქვესკალებს შორის კორელაციები; (3) ინახა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებლების განაწილება მთლიან შერჩევაში; ასევე, მათი განაწილება ასაკის, სქესისა და ზოგიერთი სხვა დემოგრაფიული ცვლადის მიხედვით გამოყოფილ ქვეჯგუფებში. სქესთა შორის შესაძლო განსხვავებების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა სტიუდენტის t კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის, ხოლო დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების მაჩვენებლების შესადარებლად გამოყენებულ იქნა დისპერსიის მულტივარიაციული ანალიზი (MANOVA).

ყველა დასკვნა გაკეთდა მნიშვნელოვნების $p < 0.05$ დონეზე. ყველა სტატისტიკური პროცედურა შესრულდა IBM.SPSS-სა (ვერსია 22.0 ვინდოუსისთვის) და SPSS.AMOS-ის (ვერსია 22.0 ვინდოუსისთვის) გამოყენებით.

შედეგები

შედეგები ორ ნაწილად არის წარმოდგენილი. თავდაპირველად აღწერილია ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის შედეგები და სკალების შინაგანი შეთანხმებულობის მახასიათებლები. შემდეგ მოცემულია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების მაჩვენებლების მიმართება ისეთ დემოგრაფიულ ცვლადებთან, როგორცაა ასაკი, სქესი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და ა. შ.

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალის ფსიქომეტრული მახასიათებლები

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA)

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების ქართული ვარიანტის ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად, მოდელი სტრუქტურული განტოლების მოდელირებით (SEM) გადამოწმდა. მოსალოდნელი იყო კითხვარის ექვსი სკალის ურთერთდაკავშირებულობა. მოდელი გასაანალიზებლად შეტანილ იქნა AMOS 22-ში და გამოყენებულ იქნა შეფასების მაქსიმალური ალბათობის მეთოდი. თავდაპირველად, როგორც წესი, მთლიანი მოდელის მორგება (model fit) ხი-კვადრატის გამოყენებით ფასდება. მონაცემების მიხედვით, $\chi^2 (350)=4342.4$, $p=.000$. თუმცა, χ^2 მგრძობიარეა შერჩევის მოცულობის მიმართ და თუ შერჩევის მოცულობა 150-200-ს აღემატება, მაშინ χ^2 -ის მეთოდი არ არის სანდო. შესაბამისად, საჭირო ხდება ალტერნატიული გზების გამოყენება. ეს მეთოდებია ნორმირებული მორგების ინდექსი (NFI), შედარებითი მორგების ინდექსი (CFI), ტუკერ-ლუისის ინდექსი (TLI) და მიახლოების საშუალო კვადრატის შეცდომა (RMSEA). ამ სტატისტიკების 0.90-ზე მაღალი მნიშვნელობა მისაღები მორგების მაჩვენებელია, ხოლო RMSEA-ის შემთხვევაში დაახლოებით 0.06 ან ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს მოდელის მისაღებ მორგებაზე. ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ $NFI=0.947$, $CFI=0.912$, $TLI=0.9967$ და $RMSEA=0.064$. ამრიგად, ამ კვლევის მონაცემებს მოდელი მისაღებად ერგება.

შინაგანი შეთანხმებულობა და ინტერკორელაციები

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალების 84 დებულებისთვის კრონბახის $\alpha=0.93$ (Cronbach, 1951), ექვსი ქვესკალისთვის კი: ავტონომის $\alpha=0.74$, გარემოს ფლობა $\alpha=0.78$,

პიროვნული ზრდა $\alpha=0.76$, დადებითი ურთიერთობა სხვებთან $\alpha=0.77$, მიზანი ცხოვრებაში $\alpha=0.79$ და საკუთარი თავის მიღება $\alpha=0.84$.

კითხვარის ექვსივე სკალა მნიშვნელოვნად კორელირებდა ერთმანეთთან და (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი $.20 < r < .68$, $p = .000$), ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ჯამურ მაჩვენებელთან ($.61 < r < .83$, $p = .000$) რაც თანხვედბა ორიგინალურ კვლევაში მიღებულ შედეგებს (Ryff, 1995).

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მიხედვით ზოგადი სურათი და განაწილება სქესის, ასაკისა და სხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებლის ქულები შერჩევაში ნორმალურად არის განაწილებული ($KS(350) = .045$, $p = .086$ და $ShW(350) = .987$, $p = .003$). ამასთან, შერჩევის 2/3-ს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა, 15%-ს კი — მაღალი მაჩვენებელი ($M=353(50)$, ქულათა დიაპაზონი = 180 — 464).

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა და სქესი

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ექვსი სკალისა და ჯამური მაჩვენებლის მიხედვით არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის. ვინაიდან მოცემულ შერჩევაში ქალები მნიშვნელოვნად აღემატებოდნენ მამაკაცებს (იხ. ქვემოთ კვლევის შეზღუდვების შესახებ), მონაცემები შეიწონა სქესის მიხედვით და ხელახლა შედარდა ჯგუფები ერთმანეთს. ამჯერად გამოვლინდა ზღვრული სხვაობა ავტონომიის სკალაზე ($t(411) = p = .046$ [-4.503; -.041]), კერძოდ, მამაკაცებს ($M=61.7$ $SD=10.4$, დიაპაზონი 40 – 79) ოდნავ მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე ქალებს ($M=59.4$, $SD=10.0$, დიაპაზონი 19 – 83).

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა და ასაკი

გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ცალკეული სკალების მაჩვენებლებსა და ასაკს შორის (ცხრილი N1), კერძოდ, დაფიქსირდა სუსტი დადებითი კავშირი, ერთი მხრივ, ასაკსა და, მეორე მხრივ, გარემოს ფლობასა და სხვებთან დადებით ურთიერთობებს შორის. ასევე, ზომიერი უარყოფითი კავშირი აღმოჩნდა ასაკსა და პიროვნული ზრდის სკალის მაჩვენებლებს შორის, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს ამ სკალის მაჩვენებელი.

ცხრილი N1. ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალები და ასაკი: პირსონის კორელაციის კოეფიციენტი

	ავტონომია	გარემოს ფლობა	პიროვნული ზრდა	დადებითი ურთიერთობები სხვებთან	მიზანი ცხოვრებაში	საკუთარი თავის მიმღებლობა	ჯამური მაჩვენებელი
ასაკი (N=350)	-.047	.121	-.317	.108	-.105	.049	-.032
	.384	.023	.000	.041	.048	.369	.554

მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკი პიროვნული ზრდის სკალის მაჩვენებლის პრედიქტორია, თუმცა მისი ვარიაციის მხოლოდ 10%-ს ხსნის (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2. მრავლობითი რეგრესიული ანალიზი: ასაკი და პიროვნული ზრდა.

	არასტანდარტიზებული B	B-ის სტანდარტული შეცდომა	სტანდარტიზებული β
ბიჯი 1			
კონსტანტა	70.859	1.141	
ასაკი	-.208	.033	-.317*

შენიშვნა: $R^2 = .101$, $\Delta R^2 = .003$ 2 ($p = .000$) * $p = .000$.

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და ოჯახური მდგომარეობა, ფიზიკური ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობა და სოციო-ეკონომიკური სტატუსი

ჯგუფთაშორისი განსხვავებები. იმის გასარკვევად, განსხვავდებოდა თუ არა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებლები ექვსი სკალის მიხედვით განსხვავებული ოჯახური მდგომარეობის, თვითაღქმული ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის (შემოსავლის) მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებში, დისპერსიის მულტივარიაციული ანალიზი (MANOVA) იქნა გამოყენებული (ცხრილი N3, N4 და N5). გაანალიზდა 350 მონაწილის მაჩვენებლები. დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობებზე, შესაბამისად, აღებულ იქნა (ა) ოჯახური მდგომარეობის ოთხი, (ბ) ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობის ოთხი და (გ) სოციო-ეკონომიკური სტატუსის ხუთი განსხვავებული მაჩვენებელი, ხოლო PSWB-Geo-ის სკალები — დამოუკიდებელ ცვლადებად.

კოვარიაციის მატრიცების თანაბრობის ბოქსის ტესტმა (Box's $M = 36.334$, $F = 0.923$, $p = 0.602$) აჩვენა, რომ შესრულდა დისპერსიის-კოვარიაციის ჰომოგენურობის პირობა. ოჯახური მდგომარეობის საერთო ეფექტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Wilks's $\lambda = .044$, $F(6) = 1239.289$, $p = 0.000$, პარციალური $\eta^2 = 0.040$. მარგინალური საშუალოების საფუძველზე, ბონფერონის მიდგომით განხორციელებულმა წყვილების შედარებამ აჩვენა, რომ დაუოჯახებელ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ პიროვნული ზრდის სკალაზე, ვიდრე ქვრივებსა და ქორწინებაში მყოფთ (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N 1. PWBS-Geo-ის ოთხი სკალის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ოჯახური მდგომარეობის ოთხი სტატუსის მიხედვით და მულტივარიაციული ანალიზი (F და წყვილების შედარება)^a

	ქულათა დიაპაზონი	(1) დასაოჯახებელი (n=217)	(2) განქორწინებული (n=19)	(3) ქვრივი (n=12)	(4) დაოჯახებული (n=102)	F	წყვილები შედარება
ავტონომია	19 – 83	60.1(11.1)	62.7(8.9)	58.6(11.3)	58.8(10.8)	.830*	
გარემოს ფლობა	22 – 81	52.2(11.8)	54.7(12.5)	58.2(10.4)	55.9(12.4)	2.879	
პიროვნული ზრდა	29 – 84	<u>66.2(9.6)</u>	64.4(10.7)	<u>55.5(8.7)</u>	<u>62.1(10.4)</u>	7.532	(1) > (3),(4)
დადებითი ურთიერთობები სხვებთან	21 – 84	60.2(11.6)	60.7(10.1)	65.7(10.2)	63.6(11.1)	2.746	

მიზანი ცხოვრებაში	28 – 85	62.7(11.5)	61.7(10.1)	58.8(12.2)	63.5(10.8)	.726
საკუთარი თავის მიღება	16 – 78	50.1(12.6)	49.8(11.3)	51.3(12.3)	52.3(12.4)	.268
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა	180 – 464	351.4 (51,1)	354.1 (43.3)	348.2 (40.4)	356.3 (50.1)	.252

შენიშვნა: ^a PWBS-Geo-ის ექსპივე სკალა იქნა შეტანილი ერთ MANOVA-ში, SPSS GLM პროცედურაში. **p*=.003

კოვარიაციის მატრიცების თანაბრობის ბოქსის ტესტმა (Box's $M = 35.353$, $F = 0.945$, $p = 0.622$) აჩვენა, რომ შესრულდა დისპერსიის-კოვარიაციის ჰომოგენურობის პირობა. ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობის საერთო ეფექტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Wilks's $\lambda = .032$, $F(6) = 1706.314$, $p = 0.000$, პარციალური $\eta^2 = .968$. მარგინალური საშუალოების საფუძველზე, ბონფერონის მიდგომით განხორციელებულმა წყვილების შედარებამ აჩვენა, რომ იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სხვებთან დადებითი ურთიერთობების, ცხოვრებაში მიზნის, საკუთარი თავის მიღების სკალებსა და კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი ჯანმრთელობა კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე მათ, ვინც აღნიშნავდა, რომ მათი ჯანმრთელობა უფრო კარგია, ვიდრე ცუდი. ასევე, პირველ ჯგუფთან (კარგი ჯანმრთელობა) შედარებით დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ საკუთარი თავის მიღებისა და კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებელი მიხედვით მათ, ვინც საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა, როგორც ცუდი (ცხრილი N4).

ცხრილი N 4. PWBS-Geo-ის ოთხი სკალის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობის ოთხი სტატუსის მიხედვით და მულტივარიაციული ანალიზი (*F* და წყვილების შედარება)^a

	ქულათა დიაპაზონი	(1) კარგი (n=159)	(2) უფრო კარგი, ვიდრე ცუდი (n=145)	(3) უფრო ცუდი, ვიდრე კარგი (n=30)	(4) ცუდი (n=16)	<i>F</i>	წყვილების შედარება
ავტონომია	19 – 83	60.1(11.1)	60.5(10.6)	62.0(10.1)	53.9(13.0)	2.256*	
გარემოს ფლობა	22 – 81	55.4(12.2)	52.7(11.6)	51.7(12.8)	48.2(12.3)	2.718	
პიროვნული ზრდა	29 – 84	65.9(9.7)	63.9(10.1)	62.0(10.1)	60.8(12.9)	2.511	
დადებითი ურთიერთობები სხვებთან	21 – 84	<u>63.9(11.0)</u>	<u>59.6(10.7)</u>	59.7(12.9)	56.6(15.2)	4.991	(1)>(2)
მიზანი ცხოვრებაში	28 – 85	<u>64.8(11.2)</u>	<u>61.4(11.1)</u>	60.7(10.1)	58.1(11.9)	4.010	(1)>(2)
საკუთარი თავის მიღება	16 – 79	<u>53.2(12.1)</u>	<u>49.3(12.7)</u>	49.8(11.2)	<u>42.1(10.8)</u>	5.600	(1)>(2),(4)
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა	180 – 464	<u>362.6</u> (51.2)	<u>347.3</u> (46.9)	345.9 (44.9)	<u>319.6</u> (53.7)	5.356	(1)>(2),(4)

შენიშვნა: ^a PWBS-Geo-ის ექსპივე სკალა იქნა შეტანილი ერთ MANOVA-ში, SPSS GLM პროცედურაში.

**p*=.001

კოვარიაციის მატრიცების თანაბრობის ბოქსის ტესტმა (Box's $M = 36.3873$, $F = 0.325$, $p = 0.745$) აჩვენა, რომ შესრულდა დისპერსიის-კოვარიაციის ჰომოგენურობის პირობა. სოციო-ეკონომიკური სტატუსის საერთო ეფექტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Wilks's $\lambda = 0.015$, $F(6) = 3700.558$, $p = 0.000$, პარციალური $\eta^2 = .985$. მარგინალური საშუალოების საფუძველზე, ბონფერონის მიდგომით განხორციელებულმა წყვილების შედარებამ აჩვენა, რომ 1700 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ადამიანებს უფრო მაღალი ჰქონდათ პიროვნული ზრდის სკალის მაჩვენებელი, ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონეთ და მათ, ვინც თავს ღარიბის კატეგორიაში აერთიანებდა. ასევე, მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონენი უფრო მეტ პიროვნულ ზრდაზე საუბრობდნენ, ვიდრე ისინი, ვისი შემოსავალიც ღარიბის კატეგორიას შეესაბამებოდა (ცხრილი N5).

ცხრილი N5. PWBS-Geo-ის ოთხი სკალის საშუალოები და სტანდარტული გადახრები სოციო-ეკონომიკური ხუთი სტატუსის მიხედვით და მულტივარიაციული ანალიზი (F და წყვილების შედარება)^a

		(1) ქულათ ა დიაპა ზონი	(2) მაღალი მაღალი (1100- 1600GEL) (n=81)	(3) საშუალო (700- 1000GEL) (n=110)	(4) დაბალი (400- 600GEL) (n=66)	(5) ღარიბი (<300GEL) (n=35)	F	წყვილების შედარება
ავტონომია	19 – 83	62.3(9.5)	59.8(11.0)	60.2(10.7)	58.5(11.2)	59.8(10.9)	1.629	
გარემოს ფლობა	22 – 81	54.4(13.3)	54.2(11.0)	54.8(12.5)	51.2(11.4)	52.0(12.2)	1.197	
პიროვნული ზრდა	29 – 84	<u>67.2(10.6)</u>	<u>65.3(9.7)</u>	<u>65.7(9.4)</u>	61.8(8.7)	<u>59.5(12.4)</u>	5.079*	(1)>(4),(5) (2),(3)>(5)
დადებითი ურთიერთობებ ი სხვებთან	21 – 83	64.5(11.1)	61.9(10.6)	61.0(11.0)	58.8(11.6)	61.4(14.3)	2.005	
მიზანი ცხოვრებაში	28 – 84	63.5(11.9)	64.4(11.1)	63.6(10.5)	60.5(11.3)	59.3(11.8)	2.182	
საკუთარი თავის მიღება	16 – 78	52.4(13.1)	52.7(12.1)	51.3(13.1)	47.9(11.1)	47.3(11.5)	2.362	
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა	180 – 464	364.3 (50.3)	358.3 (45.9)	356.6 (50.4)	338.7 (48.6)	336.5 (52.5)	3.509	

შენიშვნა: ^a PWBS-Geo-ის ექვსივე სკალა იქნა შეტანილი ერთ MANOVA-ში, SPSS GLM პროცედურაში. * $p < .001$

პრედიქტორული ღირებულება. ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის პრედიქტორების გამოსავლენად იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი განხორციელდა, რომელმაც აჩვენა, რომ ინდივიდების სოციო-ეკონომიკური სტატუსი და ჯანმრთელობის თვითაღქმული მდგომარეობა სანდოდ წინასწარმეტყველებდნენ მათ ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას (ცხრილი N6). ამ ორი ცვლადის კომბინაცია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის ვარიაციის 20%-ს ხსნიდა.

ცხრილი N6. მრავლობითი რეგრესიის მოდელი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის წინასწარმეტყველებისთვის.

არასტანდარტიზებული B	SE B	სტანდარტიზებული β
-------------------------	---------	----------------------------

ბიჯი 1

კონსტანტა	516.762	40.069	
სოციო-ეკონომიკური სტატუსი/შემოსავალი	-22.720	9.197	-.33*

ბიჯი 2

კონსტანტა	544.854	40.242	
სოციო-ეკონომიკური სტატუსი/შემოსავალი ჯანმრთელობის მდგომარეობა	-18.979 -17.654	8.958 7.566	-.28* -.30*

შენიშვნა: $R^2 = .109$ I ბიჯისთვის, $\Delta R^2 = .09$ II ბიჯისთვის ($p < .05$) * $p < .05$.

შედეგების განხილვა და ინტერპრეტაცია

ამრიგად, კვლევა აჩვენებს, რომ მოზრდილებისთვის განკუთვნილი ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საზომი სკალების ქართული ვერსია კარგი შინაგანი შეთანხმებულობით ხასიათდება, ხოლო მისი ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს ორიგინალური კითხვარის ექვსგანზომილებიან სტრუქტურას (Ryff, 1989, 199). ქულათა განაწილება კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით აკმაყოფილებს ნორმალური განაწილების ყველა პირობას. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ცალსახად დადგენილი ნორმები ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდისთვის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული შერჩევის მონაცემების მიხედვით ხდება ამ დიაპაზონის გამოთვლა. როგორც ზემოთ ითქვა, ინსტრუმენტის ორიგინალური ვერსიის ავტორი (Ryff, 2014) ქულათა დიაპაზონის მაღალი-საშუალო-დაბალის კატეგორიებად დაყოფის ორ ვერსიას გვთავაზობს: 25-75 პროცენტს შორის ან საშუალოდან (ორივე მხარეს) ერთი სტანდარტული გადახრის მანძილზე მოხვედრილი ქულები ჩაითვალოს საშუალო მაჩვენებლად. შესაბამისად, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაღალი მაჩვენებელი იქნება ერთი სტანდარტული გადახრის ან 75-ე პროცენტილს ზემოთ მოხვედრილი ქულები, ხოლო დაბალი მაჩვენებელი — 25-ე პროცენტილის ან ერთი სტანდარტული გადახრის ქვემოთ მყოფი ქულები. ვინაიდან საშუალო მაჩვენებლების განსაზღვრის მეორე გზა (სტანდარტული გადახრის გამოყენებით) ქულათა უფრო ფართო დიაპაზონს იძლევა (შერჩევის 2/3 ნორმალური განაწილების პირობებში), სწორედ ეს მეთოდი იქნა შერჩეული მოცემულ კვლევაში. აქედან გამომდინარე, შერჩევის 15%-ში დაფიქსირდა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაღალი მაჩვენებელი.

რაც შეეხება დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გამოყოფილ ჯგუფთა შორის განსხვავებებს, ავტონომიურობის სკალაზე მცირედი, მაგრამ სტატისტიკურად სანდო განსხვავებული მაჩვენებლები ჰქონდათ ქალებსა და მამაკაცებს; კერძოდ, მამაკაცების მაჩვენებელი ოდნავ აღემატებოდა ქალებისას. ასევე, დაუოჯახებელ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ პიროვნული ზრდის სკალაზე, ვიდრე ქვრივებსა და ქორწინებაში მყოფთ.

იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სხვებთან დადებითი ურთიერთობების, ცხოვრებაში მიზნის, საკუთარი თავის მიღების სკალებსა და კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი ჯანმრთელობა კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე მათ, ვინც აღნიშნავდა, რომ მათი ჯანმრთელობა უფრო კარგია, ვიდრე ცუდი. ასევე, პირველ ჯგუფთან (კარგი ჯანმრთელობა) შედარებით დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ საკუთარი თავის მიღებისა

და კარგად ყოფნის განცდის ჯამური მაჩვენებელი მიხედვით მათ, ვინც საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა, როგორც ცუდი

1700 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ადამიანებს უფრო მაღალი ჰქონდათ პიროვნული ზრდის სკალის მაჩვენებელი, ვიდრე დაბალი შემოსავლის მქონეთ და მათ, ვინც თავს ღარიბის კატეგორიაში აერთიანებდა. ასევე, მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონენი უფრო მეტ პიროვნულ ზრდაზე საუბრობდნენ, ვიდრე ისინი, ვისი შემოსავალიც ღარიბის კატეგორიას შეესაბამებოდა

გარდა ამისა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი და თვითაღქმული ჯანმრთელობის მდგომარეობა სანდოდ წინასწარმეტყველებდა ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდას და ქულების ცვალებადობის დაახლოებით 20%-ს ხსნიდა. ეს შედეგი თანხვედრაში მოდის მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგებთან, რომელიც ბედნიერების აღქმისა და მისი კორელატების შესწავლას ისახავდა მიზნად (Tsuladze, et al., 2013). კვლევაში მიღებული მონაცემების მიხედვით, კარგად ყოფნის განცდისა და სუბიექტურად აღქმული ბედნიერების ყველაზე სანდო პრედიქტორს შინამეურნეობის მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენდა, რაც თავის მხრივ, შეესატყვისება გელაპის მსოფლიო გამოკითხვით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგებს, რომელიც ბედნიერების განცდასა და შემოსავალს შორის კავშირზე მიუთითებს (Diener, Ng, Harter, & Arora, 2010).

სამომავლო მიმართულებები

კვლევის ერთ-ერთ შემდეგ პირველ ნაბიჯს ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის საზომი კითხვარის ქართული ვერსიის კონსტრუქტის (კონვერგენციული და დივერგენციული) ვალიდობის დადგენა წარმოადგენს. გარდა ამისა, აუცილებელია კვლევის რეპლიკაცია სხვა და უფრო დიდი მოცულობის შერჩევაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akin, A. (2008). The Scales of Psychological Well-being: A Study of Validity and Reliability. *Educational Sciences: Theory and Practice*, 8(3), 741-750.
2. Andrews, F. M., & Withey, S. B. (1976). *Social indicators of well-being: Americans' perceptions of life quality*. New York: Plenum.
3. Andrews, F. M. and McKennell, A. C. (1980). Measures of self-reported well-being: Their affective, cognitive, and other components, *Social Indicators Research* 8, pp. 127–155.
4. Ansari, S. A. (2010). Cross validation of Ryff scales of psychological wellbeing: translation into Urdu language. *Pakistan Business Review*, July, 244-259.
5. Bartrum, D. (2000). *International Guidelines for Test Use*. Belgium: : International Test Commission. [On-line].
6. Beaton, D. E., Bombardier, C., Guillemin, & Ferraz, M. B. (2000). Guidelines for the process of cross-cultural adaptation of self-report measures. *SPINE*, vol. 25 (24), 3186-3191.
7. Bryant, F. B., and Veroff, J. (1982). The structure of psychological well-being: A socio-historical analysis. *Journal of Personality and Social Psychology* 43: 653-673.

8. Bradburn, N. M. (1969). *The structure of psychological well-being*. Chicago: Aldine.
9. Campbell, A., Converse, P. E., & Rodgers, W. L. (1976). *The quality of American life*. New York: Russell Sage Foundation.
10. Cronbach, L. J. (1951). Coefficient α and the internal structure of tests. *Psychometrika*, 16, 297–334.
11. Cheng, S. T., & Chang, A. C. M. (2005). Measuring psychological well-being in the Chinese. *Personality and Individual Differences*, 38, 1307–1316.
12. Diener, E., Mg, W., Harter, J., & Arora, R. (2010). Wealth and happiness across the world: Material prosperity predicts life evaluation, whereas psychosocial prosperity predicts positive feeling. *Journal of Personality and Social Psychology*, Vol., 99(1), 52-61.
13. Dierendonck, D., Diaz, D., Rodriguez-Carvajal, R., Blanco, A., & Moreno-Jimenez, B. (2008). Ryff's Six-factor Model of Psychological Well-being, A Spanish Exploration. *Soc Indic. Res*, 87, 473-479.
14. Fernandes, H. M., Vasconcelos-Raposo, J., & Teixeira, C. M. (2010). Preliminary Analysis of the Psychometric Properties of Ryff's Scales of Psychological Well-Being in Portuguese Adolescents. *The Spanish Journal of Psychology*, Vol. 13 No. 2, 1032-1043
15. Holmes, T. H. & Rahe, R. H. (1967). The Social Readjustment Rating Scale. *Journal of Psychosomatic Research*, Vol. 11, 213-218.
16. International Test Commission. (2010). *International Test Commission Guidelines for Translating and Adapting Tests* (<http://www.intestcom.org>). Belgium: International Test Commission.
17. Kallay, E., & Rus, C. (2014). Psychometric Properties of the 44-Item Version of Ryff's Psychological Well-Being Scale. *European Journal of Psychological Assessment*, Vol. 30, Issue 1, 15-21. DOI: 10.1027/1015-5759/a000163.
18. Khechuashvili, L. (2014a). Cross Cultural Adaptation of Posttraumatic Growth Inventory and Psychological Well-Being Scales for Georgia Population. *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2014 | No.4(30), pp. 53-64 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2337.pdf>)
19. Khechuashvili, L. (2014b). Comparative study of psychological well-being and posttraumatic growth indicators in IDP and non-IDP citizens of Georgia. *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2014 | No. 6(32), pp. 52-58 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2369.pdf>).
20. Kishida, Y., Catayama, R., Miura, S., Kitamura, T., Matsuoka, T., and Yamabe, K. (2004). Ryff's psychological well-being inventory: Factorial structure and life history correlates among Japanese university students. *Psychological Reports*, 94(1):83-103.
21. Ryff, C. D. (1989). Happiness Is Everything, or Is It? Explorations on the Meaning of Psychological Well-Being. *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 37, No. 6, 1069-1081.
22. Ryff, C.D. (1995). *Psychological Well-Being in Adult Life*. . APA Publications, Cambridge University Press, 99-103.

23. Ryff, C. D. (2014). Psychological Well-Being Revisited: Advances in the Science and Practice of Eudaimonia. *Psychotherapy and Psychosomatics*, 83, 10-28.
24. Sirigatti, S., Penzo, I., Iani, L., Mazzeschi, A., Hatalskaia, H., Giannetti, E., and Stefanile, C. (2013). Measurement Invariance of Ryff's Psychological Well-being Scales Across Italian and Belarusian Students. *Social Indicators Research*, 113(1), 67-80.
25. Younes, M. S., Montazeri, A., Ismail, A., & Ronchin, C. (2011). Factor Structure of the French Ryff's Psychological Well-Being Scales for Active Older Adults, in Ingrid Brdar, *The Human Pursuits of Well-Being: a Cultural Approach*, pp. 203-212, DOI: 10.1007/978-94-007-1375-8-17.

Article received 2017-05-19